# უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა 0244

## ფაქტობრივი გარემოებები

საგამოძიებო/საგადასახადო ორგანოების მიერ დადგენილია, რომ დღგ-ის გადამხდელი პირის მიერ გამოწერილ იქნა უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი ანგარიშ-ფაქტურა/ზედნადები.

ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნადებში ასახული თანხა არ არის შეტანილი ერთობლივ შემოსავალში და დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში.

**ვარიანტი I**

დადგენილია რომ დოკუმენტის გამოწერის სანაცვლოდ მიღებულია კონკრეტული თანხა.

**ვარიანტი II**

საგამოძიებო/საგადასახადო ორგანოების მიერ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნადებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი.

## შეფასება

**ორივე ვარიანტში**

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კვალიფიცირდება როგორც უსაქონლო/ფიქტიურ ოპერაცია.

**ვარიანტი I**

დოკუმენტის გამოწერის სანაცვლოდ მიღებული (დადგენილი) თანხა ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ თანხაში.

**ვარიანტი II**

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნადებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი, მასში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხა არ ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში.

## ღონისძიებები

**ვარიანტი I**

უნდა დაზუსტდეს მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი და დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა.

პირი შესაბამის დეკლარაციაში გადასახადის შემცირების შემთხვევაში დაჯარიმდება სსკ-ის 275-ე მუხლით.

გადამხდელი (როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი) დაჯარიმდება ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200%-ის ოდენობით სსკ-ის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 280-ე მუხლის შესაბამისად.

**ვარიანტი II**

გადამხდელი (როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი) დაჯარიმდება ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200%-ის ოდენობით სსკ-ის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 280-ე მუხლის შესაბამისად.

**ანოტაცია**
**„უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა“ №0244**
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოს მიზანია უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის თაობაზე 0244 მენუალის კორექტირება. კერძოდ, არსებული რედაქციით, უსაქონლო/ფიქტიური ოპერაციის ამსახველი ანგარიშ-ფაქტურის/ზედნადების გამოწერა ექვემდებარება ამ დოკუმენტების გამომწერი პირის ერთობლივ შემოსავალში და დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში ჩართვას აღნიშნულის სანაცვლოდ მიღებული (დადგენილი) ფაქტობრივი საკომპენსაციო თანხის მიხედვით.

შემოთავაზებული რედაქცია ითვალისწინებს ფაქტობრივი გარემოების 2 ვარიანტს. კერძოდ, როდესაც საგამოძიებო ორგანოების მიერ:

- დადგენილია რომ, გამომწერმა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/სასაქონლო ზედნადები გამოწერა გარკვეული თანხის სანაცვლოდ;
- საგამოძიებო/საგადასახადო ორგანოს მიერ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნადებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი.

**ვარიანტი I:** დოკუმენტის გამოწერის სანაცვლოდ მიღებული (დადგენილი) თანხა ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ თანხაში.

**ვარიანტი II:** იმის გათვალისწინებით, რომ ვერ დგინდება ანგარიშ-ფაქტურაში/ზედნადებში ასახული საკომპენსაციო თანხის ან მისი ნაწილის მიღების ფაქტი. მასში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხა არ ჩაირთვება როგორც ერთობლივ შემოსავალში, ასევე დღგ-ით დასაბეგრ ბრუნვაში.